ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

 790 20-33-05

5.. §.-§“-“§

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №347

22 ნოემბერი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევში მდებარე შენობა–ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 217.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.21.22.143) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებად შეძენის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტის, დამოუკიდებელი ზოგადი აუდიტორი ,,ავთნდილ ბერიშვილის“ 2013 წლის 04 ნოემბრის აუდიტორული დასკვნისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 04 ნოემბრის №323 ბრძანებით შექმნილი დროებითი კომისიის 2013 წლის 19 ნოემბრის ურთიერთშეთანხმების აქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეძენილ იქნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევში მდებარე შენობა–ნაგებობა მასზე დამაგრებულ 217.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – №28.21.22.143).
2. უძრავი ქონების შესაძენი ღირებულება განისაზღვროს 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.
3. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსს, (ზურაბ ჩანტლაძე) „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის N466 განკარგულების საფუძველზე მოახდინოს ანგარიშსწორება უძრავი ქონების მესაკუთრესთან (ინგა დოლიძე; პ/ნ – 46001018214) და უზრუნველყოს უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე აღრიცხვა.

4. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი ქმედების განხორციელების მიზნით კერძოდ, შეძენილი უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – №28.21.22.143) ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისა და რეგისტრაციის უფლებამოსილება მიენიჭოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელს ვლადიმერ ლომთათიძეს (პ/ნ – №46001002560).
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავეყ

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*